



# სურსათით ვაჭრობის სტანდარტები

როგორ უმჯობესდება საქართველოს  
სურსათის უვნებლობის სტანდარტები  
ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი  
თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA-ს) პირობებში





ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ასოცირების შეთანხმება ევროპის ქვეყნების გაერთიანებასთან ეკონომიკურ ინტეგრაციას გულისხმობს და ქართველი მეწარმეებისთვის ხსნის ევროკავშირის ბაზარს. კერძოდ, გაუქმდა საიმპორტო გადასახადი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

DCFTA-ს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, გააუმჯობესოს საკუთარი სანიტარული და ფიტოსანიტარული, ცხოველთა კეთილდღეობის კანონმდებლობა. რეფორმირების პროცესი იქნება შესაძლებლობა იმისა, რომ ქართული სასურსათო პროდუქცია გავხადოთ უფრო უსაფრთხო, რადგან ევროკავშირის სურსათის უვნებლობის სტანდარტები არის უმაღლესი და უმკაცრესი. აღნიშნული ღონისძიებები გაზრდის ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტს არა მხოლოდ ევროკავშირის, არამედ მსოფლიო ბაზარზე.


4 ძირითადი სარგებელი, რომელიც DCFTA-სთან შესაბამისობაში გააუმჯობესებს სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სტანდარტებს საქართველოში:

1. ქართული სასურსათო პროდუქცია გახდება უფრო მაღალხარისხიანი;
2. უფრო მეტად დაიცავს მომხმარებელთა ჯანმრთელობას, რადგან მაღალი ხარისხის პროდუქტი ამცირებს დაავადებების გავრცელებას.
3. ქართული სასურსათო პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტებს დაუახლოვდება და გამარტივებულ საკანონმდებლო პროცედურებს გაივლის ევროკავშირთან და მსოფლიო ბაზრებზე ვაჭრობის შემთხვევაში.
4. მაღალი ხარისხის პროდუქცია ზრდის ქართული საექსპორტო პროდუქციის სანდობის დონეს საერთაშორისო ბაზრებზე.

საქართველომ აიღო ვალდებულება ნაბიჯ-ნაბიჯ მოახდინოს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპის სანიტარულ და ფიტოსანიტარულ კანონმდებლობასთან, რაც განსაზღვრულია DCFTA-თ.

# ევროკავშირთან საქართველოს სანიტარული და ფიტოსანიტარული დაახლოების პროცესი

შეთანხმების ძალაში შესვლიდან თვის ვადაში საქართველომ შეიმუშავა საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ქართული კანონმდებლობის დაახლოება ევროპულთან. კანონმდებლობის გაუმჯობესებაში აქტიურად არიან ჩართულნი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სურსათის ეროვნული სააგენტო და სხვა დარგობრივი სამინისტროები.



შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ იდენტიფიცირებულია ევროკავშირის 366 სამართლებრივი აქტი. მათ შორის:

## სურსათის უვნებლობის სფერო

- სურსათის უვნებლობის მიკრო-ბიოლოგიური მაჩვენებლები;
- სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლი;
- ბიზნესოპერატორის აღიარების პროცედურები;
- სურსათის ჰიგიენის წესები;
- სურსათის უვნებლობის სისტემის ზოგადი პრინციპები;
- ძროხის ხორცისა და მისი პროდუქტების ეტიკეტირება;
- სურსათში ნარჩენი ნივთიერებების, დამაბინძურებლებისა და პესტიციდების მაქსიმალური ზღვრები;
- სურსათთან შეხებაში მყოფი მასალების ზოგადი მოთხოვნები;
- საკვები დანამატების რეგულირება;
- ახალი ხორციტ ვაჭრობის საკითხები;

## ვეტერინარიის სფერო

- ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;
- ცხოველთა დაავადებების კონტროლის წესები;
- მონიტორინგის განხორციელებისა და დაავადების აღმოფხვრის ღონისძიებები;
- ცხოველის საკვების ჰიგიენის მოთხოვნები;
- ცხოველთა დაავადების დიაგნოსტიკის პროცედურები;

## მცენარეთა დაცვის სფერო

- საერთაშორისო ვაჭრობაში ხის შესაფუთი მასალის რეგულირება;
- შეტყობინება იმპორტის დროს ფიტოსანიტარული შეუსაბამობის გამოვლენისას;
- დაცულ ზონებში სამეცნიერო კვლევებისათვის გამიზნული მცენარეების, მცენარეული პროდუქციის ან სხვა რეგულირებადი ობიექტების შემოტანისა და გადაადგილების კონტროლი;
- მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის ღონისძიებები;
- პესტიციდების მდგრადი გამოყენების წესი;
- მწარმოებლებისა და იმპორტიორების ვალდებულებები და მათი რეგისტრაციის წესი;





## ევროკავშირის ბაზარზე შესვლა – ქართული მწვანილის და სალათის ფურცლების წარმატების ისტორია



მწვანილის და მწვანე სალათის ფურცლების ერთადერთმა ქართველმა ექსპორტიორმა ევროკავშირის ბაზარზე, კომპანია „ჰერბიას“ დირექტორმა რევაზ ჯანელიძემ იცოდა, რომ წარმოებაში სურსათის უვნებლობის სტანდარტების დასანერგად და განსახორციელებლად, რომელიც ევროკავშირის სტანდარტებს შეესაბამებოდა, მძიმე გზის გავლა მოუწევდა.

2008 წელს, „ჰერბიას“ დამფუძნებლებმა დაიწყეს სოფლის მეურნეობის პროდუქტის გასაყიდად საჭირო სტანდარტების დანერგვა კომპანიაში, რომ პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე გასაყიდად მოემზადებინათ. ამ მიზნის მისაღწევად, კომპანიამ სასათბურე მეურნეობა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ქალაქ წყალტუბოში მდებარეობს, აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით. მოგვიანებით, კომპანიამ მიიღო „გლობალ გეპის“ (GLOBALG.A.P) სერტიფიკატი, რომელიც ადგენს ნებაყოფლობით სტანდარტებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სერტიფიცირებისთვის მთელს მსოფლიოში და ადასტურებს კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და ტექნოლოგიების ევროსტანდარტებთან შესაბამისობას.



დღეისათვის, კომპანია „ჰერბიას“ მწვანილი და სალათის ფურცლები ექსპორტზე ევროკავშირის ქვეყნებში გადის, მათ შორის – გერმანიაში, პოლონეთში, ჰოლანდიაში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიასა და ბულგარეთში. „ჰერბიას“ მიერ წარმოებული შეზღუდული რაოდენობის პროდუქცია, კომპანიას არ აძლევს შესაძლებლობას გახდეს მუდმივი ექსპორტიორი, რომ კონკურენცია გასწიოს ევროკავშირის ბაზარზე, რაც მოითხოვს დიდი რაოდენობის მწვანილის და სალათის ფურცლების რეგულარულ და სტაბილურ მიწოდებას.

ჰერბია ყოველ კვირაში აწარმოებს ხუთ ტონა პროდუქციას, რაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გახდეს რეგულარული მიმწოდებელი. რევაზ ჯანელიძე მიიჩნევს, რომ რაც მეტი კომპანია დანერგავს ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამის სურსათის უვნებლობის სტანდარტებს თავიანთ მეურნეობებში, მით მეტი შესაძლებლობა გაჩნდება, გაიზარდოს პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე.

[http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index\\_en.htm](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm)

[www.nfa.gov.ge](http://www.nfa.gov.ge)

[www.letsmeetu.ge](http://www.letsmeetu.ge)



ბროშურა მომზადებულია პროექტ „ერთად შევვებოთ ევროპას“ მიერ, რომელსაც აფინანსებს ევროკავშირი.